დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის რელიეფის გეოეკოლოგიური შეფასება

ზურაბი მიხელიძე

ელ-ფოსტა: Zurabi.Mikhelidze513@ens.tsu.edu.ge

ზუსტ და საბუნებუსმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება

ი. ჭავჭავაძის N3

ანოტაცია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოქცეული ოროგრაფიული ერთეულები, მათი მორფოლოგიური-მორფომეტრიული მახასიათებლების, ამგებელი ქანების ლითოლოგიური შედგენილობის, გენეზისის და სხვა თავისებურებების მიხედვით. რელიეფმა დიდი როლი ითამაშა არსებული ტურისტული ძეგლების არსებობაში, ალაზნის ვაკის, ივრის ზეგნის და გომბორის ქედის აღმოსავლეთ დაბოლოების ტურისტული პოტენციალის განვითარებაში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი, რომელიც მდებარეობს მდინარე ალაზნის ხეობაში, ადგილ ,,ჰერეთის ფონის“ ჩრდილო-აღმოსავლეთით, აგრეთვე მახლობლად მდებარეობს საქართველოს ყველაზე უკიდურესი აღმოსავლეთის დასახლება სოფელი საბათლო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი 67 000 ჰექტარ საძოვარს ფლობს, ხოლო 55 000 ჰექტარი კი ახმეტის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის ცხვრის ფარების გამოსაკვებად. მუნიციპალიტეტის სახნავი მიწის ფართობი 47 040 ჰა-ს შეადგენს. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მევენახეობა, მეცხოველეობა და სხვ. გაბატონებულია სახნავ-სათესი მიწები, ვენახები, ბაღები და სხვა სავარგულები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ნავთობისა (მირზაანი, შირაქი) და კირქვის („არწივის ხეობა“) საბადოები.

მუნიციპალიტეტი მდიდრადაა წარმოდგენილი არქეოლოგიური ძეგლებითაც. ძირითადად დაუსახლებელ ტერიტორიებზე სხვადასხვა ობიექტია წარმოდგენილი.